დანართი №1

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მონიტორინგის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ელენე კაკაბაძე
წევრები:
ქეთევან ჭუჭულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **მონიტორინგის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17.12.2021 N 1385571 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ქეთევან ჭუჭულაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, ე)ქვეპუნქტის ე. ა)კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მონიტორინგის მასალები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი.2021 წლის 29 დეკემბერს განხორციელდა ვიზიტი ქ.ბათუმში, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან ინტერვიურების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მონიტორინგის დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		მეტწილად შეესაბამება

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

1. **შესაბამისობის რეკომენდაცია** - 5.1.1.4 - **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.** წინა ვიზიტის დროს, რომელიც განხორციელდა 2021 წლის 16 აგვისტოს აკადემიის მხოლოდ მეორე სართული იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო მესამე სართულზე აყვანილი იყო ცენტრალური გათბობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მილები და არ იყო დამონტაჟებული რადიატორები. აკადემიამ ექსპერტებს წარუდგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი იყო ცენტრალური გათბობის რადიატორების მონტაჟი და დაწყება/დასრულების სავარაუდო პერიოდად მითითებული იყო 2021წლის 16 აგვისტო - 2021წლის 1 დეკემბერი. ექსპერტებმა კომპონენტი შეაფასეს -„მეტწილად შესაბამისი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 29 დეკემბერს. ვიზიტის პერიოდში მართალია ორივე სართულზე იყო დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა, თუმცა არცერთ სართულზე არ ფუნქციონირებდა. აკადემიის ადმინისტრაციამ წარმოგვიდგინა შპს „სოკარ ჯორჯია გაზთან“ განხორციელებული მიმოწერა, გაზიფიცირების სავარაუდო ვადები და აკადემიის დირექტორის 23.12.2021 წლის N 00008147 ბრძანებით დამტკიცებული - გათბობის სისტემის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დაწყება/დასრულების სავარაუდო პერიოდად მითითებულია 2021წლის 20 დეკემბერი - 2022წლის 20 თებერვალი. **რეკომენდაცია არ არის შესრულებული.**

2. **შესაბამისობის რეკომენდაცია - 5.1.1.9 - ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**

აკადემიის B სასწავლო გარემო არ იყო უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათების შესაძლებლობით. დაწესებულებამ მოახდინა ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ ორ ოთახში B სასწავლო გარემოს მოწყობა, სადაც არის როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. **რეკომენდაცია შესრულებელია.**

VI .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

აკადემიაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველი იყო წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ზუსტად ცენტრალურ გათბობასთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, წინა ვიზიტის დროს, რომელიც განხორციელდა 2021 წლის 16 აგვისტოს აკადემიის მხოლოდ მეორე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სართული იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო მესამე სართულზე აყვანილი იყო ცენტრალური გათბობის მილები და არ იყო დამონტაჟებული რადიატორები. აკადემიამ ექსპერტებს წარუდგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი იყო ცენტრალური გათბობის რადიატორების მონტაჟი და დაწყება/დასრულების სავარაუდო პერიოდად მითითებული იყო 2021წლის 16 აგვისტო - 2021წლის 1 დეკემბერი. ექსპერტებმა კომპონენტი შეაფასეს -„მეტწილად შესაბამისი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 29 დეკემბერს. ვიზიტის პერიოდში მართალია ორივე სართულზე იყო დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა, თუმცა არცერთ სართულზე არ ფუნქციონირებდა. აკადემიის ადმინისტრაციამ წარმოგვიდგინა შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ დირექტორის საპასუხო წერილი მათ 2021წლის 06 ოქტომბრით დათარიღებულ წერილობით მიმართვასთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათდამი რწმუნებული სასწავლებლის საიჯარო ფართის მესამე სართულზე განხორციელდა ცენტრალური გათბობის სისტემის რეაბილიტაცია. 2021 წლის 2 ნოემბერს შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ დირექტორმა შეავსო „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ერთი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადი და 2021 წლის 27 დეკემბერს წერილობით მიმართა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ აჭარის რეგიონალური ოფისის დირექტორს განაცხადის საფუძველზე მათი სამსახურის მხრიდან დაგეგმილი შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ გაზიფიცირებასთან დაკავშირებით. ამავე მიმართვაში აღნიშნა, რომ მათ ბაზაზე იჯარით იმყოფება შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემია“, სადაც 2021 წლის 28-29 დეკემბერს დაგეგმილია განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მონიტორინგი ცენტრალური გათბობის მიწოდებასთან დაკავშირებით და სთხოვა ერთი დღის ვადაში წერილობით ეცნობებინა თუ რა ვადებში იყო გათვალისწინებული დაწესებულების გაზიფიცირების პროცესის დასრულება. 2021 წლის 28 დეკემბერს შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ გამოგზავნილ იქნა საპასუხო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიერთების სამუშაოები ამ ეტაპზე არ არის დასრულებული „განაწილების ლიცენზიანტი“ დადგენილებით გათვალისწინებული წესითა და დანართი N3-ით (რომელიც თან ახლდა წერილს) განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს მიერთების სამუშაოების შესრულებას. დანართი N3-ის თანახმად მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა შეადგენს 70 სამუშაო დღეს.

აკადემიის ადმინისტრაციამ ასევე წარმოგვიდგინა დირექტორის 23.12.2021 წლის N 00008147 ბრძანებით დამტკიცებული - გათბობის სისტემის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დაწყება/დასრულების სავარაუდო პერიოდად მითითებულია 2021წლის 20 დეკემბერი - 2022წლის 20 თებერვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გათბობის სისტემის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით.

VII. სტანდარტების შეფასება

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.1.1. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს შპს „ თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ შენობის მე-2 და მე-3 სართულზე. მათ შორის გაფორმებულია იაჯრის ხელშეკრულება ავტორიზაციის ვადით ქონებით სარგებლობის შესახებ.
აკადემიის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით. პსდ-ს სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მფლობელობაში აქვს შემდეგი ფართები: ფოიე, სადაც ცალკე კუთხე არის გამოყოფილი პროფესიული სტუდენტებისათვის სამუშაოდ, დასასვენებლად, აქტივობების დასაგეგმად, სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, კერძოდ, ჭადრაკის სათამაშოდ; მოწყობილია A, B, C და კომბინირებული A/C გარემო, თეორიული სწავლების და პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად; კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები; ადმინისტრაციისათვის და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის სამუშაო სივრცე; დარგობრივი, სამედიცინო მიმართულების შესაბამისი კაბინეტი; ბიბლიოთეკა, არქივი და ერთმანეთისგან გამიჯნული სანიტარული კვანძები.
5.1.1.2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი აკადემიის მიერ შემუშავებული - საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დოკუმენტის თანახმად პროფესიულ სტუდენტს სწავლის პერიოდში სასწავლო მიზნების მისაღწევად უფლება აქვს ისარგებლოს აკადემიის ინფრასტრუქტურით და მატერილური რესურსებით. დოკუმენტში ასევე გაწერილია ბიბლიოთეკით და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესები.
5.1.1.3. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ დათვალიერებული იქნა აკადემიის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეები. ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმით გათვალისწინებულია ყველა სივრცის დასუფთავების პერიოდულობა, რომელსაც ახორციელებს დამლაგებელი.
5.1.1.4. აკადემიაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველი იყო წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ზუსტად ცენტრალურ გათბობასთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, წინა ვიზიტის დროს, რომელიც განხორციელდა 2021 წლის 16 აგვისტოს აკადემიის მხოლოდ მეორე სართული იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო მესამე სართულზე აყვანილი იყო ცენტრალური გათბობის მილები და არ იყო დამონტაჟებული რადიატორები. აკადემიამ ექსპერტებს წარუდგინა შესაბამისობის გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელშიც ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი იყო ცენტრალური გათბობის რადიატორების მონტაჟი და დაწყება/დასრულების სავარაუდო პერიოდად მითითებული იყო 2021წლის 16 აგვისტო - 2021წლის 1 დეკემბერი. ექსპერტებმა კომპონენტი შეაფასეს -„მეტწილად შესაბამისი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 29 დეკემბერს. ვიზიტის პერიოდში მართალია ორივე სართულზე იყო დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა, თუმცა არცერთ სართულზე არ ფუნქციონირებდა. აკადემიის ადმინისტრაციამ წარმოგვიდგინა შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ დირექტორის საპასუხო წერილი მათ 2021წლის 06 ოქტომბრით დათარიღებულ წერილობით მიმართვასთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათდამი რწმუნებული სასწავლებლის საიჯარო ფართის მესამე სართულზე განხორციელდა ცენტრალური გათბობის სისტემის რეაბილიტაცია. 2021 წლის 2 ნოემბერს შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ დირექტორმა შეავსო „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ერთი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადი და 2021 წლის 27 დეკემბერს წერილობით მიმართა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ აჭარის რეგიონალური ოფისის დირექტორს განაცხადის საფუძველზე მათი სამსახურის მხრიდან დაგეგმილი შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ გაზიფიცირებასთან დაკავშირებით. ამავე მიმართვაში აღნიშნა, რომ მათ ბაზაზე იჯარით იმყოფება შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემია“, სადაც 2021 წლის 28-29 დეკემბერს დაგეგმილია განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მონიტორინგი ცენტრალური გათბობის მიწოდებასთან დაკავშირებით და სთხოვა ერთი დღის ვადაში წერილობით ეცნობებინა თუ რა ვადებში იყო გათვალისწინებული დაწესებულების გაზიფიცირების პროცესის დასრულება. 2021 წლის 28 დეკემბერს შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ გამოგზავნილ იქნა საპასუხო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიერთების სამუშაოები ამ ეტაპზე არ არის დასრულებული „განაწილების ლიცენზიანტი“ დადგენილებით გათვალისწინებული წესითა და დანართი N3-ით (რომელიც თან ახლდა წერილს) განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს მიერთების სამუშაოების შესრულებას. დანართი N3-ის თანახმად მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა შეადგენს 70 სამუშაო დღეს.

აკადემიის ადმინისტრაციამ ასევე წარმოგვიდგინა დირექტორის 23.12.2021 წლის N 00008147 ბრძანებით დამტკიცებული - გათბობის სისტემის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დაწყება/დასრულების სავარაუდო პერიოდად მითითებულია 2021წლის 20 დეკემბერი - 2022წლის 20 თებერვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გათბობის სისტემის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით.

5.1.1.5. აკადემიაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელსაც ახორციელებს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. აკადემიის დირექტორის 2019 წ. 16 ოქტომბრის №01-109 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების გეგმა და პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში, რომელშიც გაწერილია რისკების მართვა და შეფასება, საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია, მონიტორინგი და ა.შ.

5.1.1.6. აკადემიაში ხორციელდება სამედიცინო მიმართულების პროგრამები და შესაბამისად მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, აკადემიის დირექტორის2020 წლის 29 დეკემბრის №01-81 ბრძანებით დამტკიცებულია - „ სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“ და დირექტორის 2019 წ. 27 დეკემბრის №129 ბრძანებით დამტკიცებულია - „ნარჩენების მართვის გეგმა“, რომლებიც ითვალისწინებენ ფარმაცევტული და ქიმიური ნარჩენების მართვის მექანიზმებს.

5.1.1.7. აკადემიის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N 01-21 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო, რომელიც ითვალისწინებს აკადემიის რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

5.1.1.8. აკადემიის შენობაში არის გამიჯნული სანიტარული კვანძები ქალებისთვის, მამაკაცებისთვის და შშმ პირებისთვის, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის. დაწესებულების შენობაში ადაპტირებულია გარემო შშმ პირებისათვის, კერძოდ, არის პანდუსი, რისი საშუალებითაც მათ შესაძლებლობა აქვთ გადაადგილდნენ შენობაში, ხოლო საჭიროების შმთხვევაში დაწესებულების დაცვის თანამშრომლის დახმარებით შშმ პირებს ასევე შეუძლიათ აუდიტორიებში, ადმინისტრაციი ოთახებში, ბიბლიოთეკაში და სხვა სივრცეებში გადაადგილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.9. აკადემიაში ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.
5.1.1.10. აკადემიის შენობაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. ყველა აუდიტორია არის იზოლირებული და სასწავლო პროცესი ხორციელდება დაბრკოლებების გარეშე.
5.1.1.11.აკადემიაში არის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. აღნიშნული რესურსის გამოყენება რეგულირდება დაწესებულებაში არსებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სკამები, მაგიდები და კომპიუტერული ტექნიკა. აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა და ელექტრონული წიგნები, რომლებიც ხელმისაწვდომია, როგორც აკადემიის პერსონალისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის ისე ნებისმიერი მომხმარებლისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ;
2. შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი;
3. შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრსა“ და შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება;
4. მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. აკადემიის მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
6. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 23 ივლისის №3436 ბრძანებით);
7. შრომის უსაფრთხოების გეგმა და პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში (დამტკიცებული აკადემიის დირექტორის 2019 წ. 16 ოქტომბრის №01-109 ბრძანებით);
8. შპს „სოკარ ჯორჯია გაზთან“ განხორციელებული მიმოწერა;
9. გათბობის სისტემის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებული აკადემიის დირექტორის 23.12.2021 წლის N 00008147 ბრძანებით);
10. „ სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“(დამტკიცებული აკადემიის დირექტორის2020 წლის 29 დეკემბრის №01-81 ბრძანებით);
11. „ნარჩენების მართვის გეგმა“ (დამტკიცებული აკადემიის დირექტორის 2019 წ. 27 დეკემბრის №129 ბრძანებით);
12. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო (დამტკიცებული აკადემიის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N 01-21 ბრძანებით);
13. სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

14. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

15. აკადემიის ვებ-გვერდი;

16. აკადემიის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან ინტერვიუ;

17. ვიზუალური დათვალიერება.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.2-1 დაწესებულებას აქვს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულების მიერ ექსპერტებისათვის წარმოდგენილ იქნა მიწერილობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობა შემოწმდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. შემდგომ, აღნიშნული სამსახურის მიერ გაიცა რეკომენდაციები გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების დარღვევათა აღმოფხვრისთვის. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით სავალდებულო ღონისძიებების შესრულების საკითხი. აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას შესრულებული აქვს ის აქტივობები, რაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე (2021 წლის 29 დეკემბერი) იყო შესასრულებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.2-2 დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2021 წლის 23 ივლისის №3436 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“, სადაც განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი, რომლის თანახმადაც, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ან საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება ევალება კოლეჯის მედდას. ექსპერტებმა, ვიზიტის დროს შეამოწმეს აღრიცხვის ჟურნალები, მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულება, სამუშაო აღწერილობა, რომელიც შესაბამისობაშია მედდის ფუნქცია-მოვალეობასთან.

5.1.2-3 დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ბათუმის სამედიცინო აკადემიას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების გეგმა, სადაც გაწერილია მექანიზმები საგანგებო სიტუაციების მართვის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, საკანონმდებლო რეგულაციების, ექსპერტების რეკომენდაციების, უსაფრთხოების კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს შრომის უსაფრთხოების გეგმის მოდიფიცირებას.

5.1.2-4 დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის საკითხები განსაზღვრულია დირექტორის 2021 წლის 23 ივლისის №3436 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში“, დაცვის თანამშრომლის სამუშაო აღწერილობასა და მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომელთა შესწავლის საფუძველზე ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, თავის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. ვინაიდან დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა არის შპს „თამარის დასახლება საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ბალანსზე, მის უსაფრთხოებაზე და წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ მეიჯარის დაცვის თანამშრომლები. ასევე, დაწესებულებას იდენტიფიცირებული ჰყავს პირი, დაწესებულების დაცვის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულების მიერ ათვისებული ფართის წესრიგის დაცვაზე. დაწესებულება აღჭურვილია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი შიდა და გარე უსაფრთხოების კამერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შრომის უსაფრთხოების გეგმა (დამტკიცებული დირექტორის 2019 წ. 16 ოქტომბრის №01-109 ბრძანებით);
2. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;
3. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარის ვიზუალური დათვალიერება;
4. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 23 ივლისის №3436 ბრძანებით);
5. მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე;
6. დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
7. კოლეჯის მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაო აღწერილობა;
8. ინტერვიუ კოლეჯის წარმომადგენლებთან;
9. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

26.01.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: